საქართველოს მთავრობის

დადგენილება №552

2014 წლის 12 სექტემბერი

ქ. თბილისი

„პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/09/2013, 430030000.10.003.017410) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის:

1. 35-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 35^1 გრაფა:

,,35^1	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი	III	650“.

2. 75-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 75^1 გრაფა:

,,75^1	მხატვარ-შემსრულებელი	III	950“.

3. 111-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 112-ე გრაფა:

,,112	მევენახე-მეღვინე	III	2250“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**